FOR THE ISSUE OF DE-ETHNIZATION OF GEORGIANS IN THE GALI REGION (2008-2018)

გალის რაიონში ქართველთა დეეთნიზაციის პრობლემისათვის (2008-2018წწ.)[1]

KAKHA KVASHILAVA
PhD in History,
Associate Professor of Sokhumi State University
ORCID ID: 0000-0001-7703-5568.
kvashilava@sou.edu.ge
+995577963818

Abstract:

At 2018 Georgia celebrated a 100-year jubilee of the restoration its state independency and establishing of the first Republic. Moreover in September 27th turned 25 years from the fall of Sokhumi and in August 26th – 10 years after the recognition of "independency" of Tskhinvali region and Abkhazia by Russia by gross infringement of the International law.

Abkhaz separatists and Russian occupants have created an apartheid regime in Abkhazia where fundamental Human Rights of local Georgians are rough violated. In this situation, active de-ethnization of Georgians in the Gali region is passing, which aims to eliminate local Georgians from the common Georgian political, cultural, economic and social space. To achieve this goal the separatists and occupants tried to replace teaching language from Georgian to Russian, actively works propagandist machine – TV and printed press which official working language are Abkhazian, Russian and Megrelian. But mainly they are working only in Russian. There is created special barriers for Georgians for their participation in local political processes. We must note that Abkhaz separatists and Russian occupants have different view on the de-ethnization Georgians. Georgians are considered by separatists and occupants in their own camps. In this aspect they really confront each other.

The authorities of Georgia should use all its possibility in the international arena for protect the rights and interests of the Georgian population of Gali. Otherwise, at the conditions of the Apartheid regime only two ways remain for Gali's Georgians: either fully subjected to current pressure (which will be finished by their de-ethnization) or to resettle in other regions of Georgia. As we see both outcomes are highly critical for Georgia's future and the prospects for conflict resolution.

Key words: Conflict in Abkhazia, Gali District, De-ethnization, Georgians, Georgia.

[1] წინამდებარე წერილი წაკითხული იქნა მოხსენების სახით 2018 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ჰუმანიტარული მეცნიერებები

კახა კვაშილავა
ისტორიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0000-0001-7703-5568.
kvashilava@sou.edu.ge
577963818

აბსტრაქტი:

2018 წელს საქართველომ აღნიშნა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილე. მეტიც, 27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 25 წელი შესრულდა და 26 აგვისტოს კი 10 წელი – რუსეთის მიერ, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებიდან.

აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა შექმნეს აპარტეიდული რეჟიმი აფხაზეთში, სადაც ადგილობრივი ქართველებისფუნდამენტური უფლებები უხეშად ირღვევა. ამ სიტუაციაში გალის რეგიონში ქართველთა აქტიური დეეთნიზაცია მიმდინარეობს, რომლის მიზანია ადგილობრივი ქართველების აღმოფხვრა საერთო ქართული პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური სივრციდან. ამის მისაღწევად სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა გალის რაიონში განათლების ენად ქართველთათვის რუსული დაადგინეს; აქტიურად მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა – ტელევიზია და ბეჭდური პრესა, რომლის ოფიციალური სამუშაო ენებია აფხაზური, რუსული და მეგრული. თუმცა ძირითადად ისინი მხოლოდ რუსულ ენაზე ფუნქციონირებენ. ამასთან ერთად, შექმნილია სპეციალური ბარიერები ქართველებისთვის ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. ხაზგასასმელია, რომ აფხაზ სეპარატისტებს და რუს ოკუპანტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ ქართველების დეეთნიზაციასთან დაკავშირებით. ორივე მხარე მათ მხოლოდ საკუთარ ბანაკში მოიაზრებს, რის გამოც ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის ერთგვარი დაპირისპირების საფუძველი იქმნება.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მთელი თავისი შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე გალის ქართული მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპარტეიდის რეჟიმის პირობებში გალის ქართველებისთვის მხოლოდ ორი გზა რჩება: ან სრულად დაექვემდებაროს ზეწოლას (რაც მათი დეეთნიზაციით დასრულდება) ან გადასახლდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში. როგორც ვხედავთ, ორივე შედეგი უაღრესად კრიტიკულია საქართველოს მომავლისა და კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივით.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი აფხაზეთში, გალის რაიონი, დეეთნიზაცია, ქართველები, საქართველო.

შესავალი:

2018 წელს საქართველომ იზეიმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და პირველი რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილე. ამასთან, 27 სექტემბერს 25 წელიწადი შესრულდა სოხუმის დაცემიდან და 26 აგვისტოს კი 10 წელიწადი რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებიდან.

მეოთხედი საუკუნეა, ჩვენი ქვეყნის ისტორიული ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მოწყვეტილია დედასამშობლოს და ის, ფაქტობრივად, დაცლილია ქართული მოსახლეობისაგან. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთმა და აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველთა ეთნოციდი და გენოციდი განახორციელეს. ქართული მოსახლეობა, სამწუხაროდ, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთში, ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზეა (თანამედროვე ოჩამჩირის ნაწილი და გალის რაიონები; სეპარატისტთა ადმინისტრაციული დაყოფით – ოჩამჩირის ნაწილი, გალისა და ტყვარჩელის რაიონები) შემორჩენილი. ამასთან მათი რიცხვი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად კლებულობს. იქ დარჩენილი ქართველობა მნიშვნელოვანი (ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) წნეხის ქვეშაა. ირღვევა მათი უფლებები. აქტიურად მიმდინარეობს აფხაზეთში დარჩენილ ქართველთა დენაციონალიზაციისა და დეეთნიზაციის პროცესები, რაც მომავალში საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისათვის საფრთხის შემცველი იქნება.

მეთოდები:

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები:

სტატიაში შესწავლილია თანამედროვე აფხაზეთის საოკუპაციო და სეპარატისტულ რეჟიმთა მიერ გალის რაიონში დარჩენილი ქართული მოსახლეობის დეეთნიზაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები

რუსი ოკუპანტები და აფხაზი სეპარატისტები აქტიურად ახორციელებენ აფხაზეთში, კერძოდ კი – გალის რაიონში, დარჩენილ ქართველთა დეეთნიზაციის პროცესს. ორივე მხარე თანხმდება იმაში, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება ქართული ანკლავის მოშლა სეპარატისტულ რეგიონში.

დისკუსია:

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია პირველი რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილე. იმ დროსაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას აფხაზეთში, სადაც ანტიქართულად განწყობილი დესტრუქციული ძალები, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ რუსი ბოლშევიკები თუ თეთრგვარდიელები, ასევე ოსმალეთი, ცდილობდნენ საქართველოსთან აფხაზეთის დაკავშირების ყოველგვარი გზის მოსპობას. თუკი ისინი ამ პროცესს გარკვეულ წილად „წარმატებით“ ახერხებდნენ (თუმცა, მხოლოდ ძალიან ხანმოკლე დროით) სოხუმის ოლქის ფარგლებში, ამგვარი მცდელობები იყო სამურზაყანოშიც, მაგრამ იქაური მოსახლეობა ამ პროვოკაციის წინააღმდეგ გამოვიდა და ეს პროექტი ჩაიშალა.

100 წლის შემდეგ ანალოგიური პროცესი უკვე საპირისპირო მიმართულებით

მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, არ ვამბობთ გალის რაიონში დარჩენილი ქართული მოსახლეობის განდგომაზე საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური სივრციდან. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, ბუნებაში არაა. მაგრამ დღეს გალის რაიონში შექმნილი რეალობა, რომელიც ეფუძნება სასტიკ ეთნიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დისკრიმინაციას.

აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ – 1993-2008 წლებში – გალის რაიონი (გალის რაიონის ქვეშ მოვიაზრებთ ამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს 1991 წლის 28 დეკემბრის მონაცემებით – **კ.კ.**), რომელიც ამ პერიოდშიც კი, უმთავრესად ქართველებით იყო დასახლებული, გარკვეულ წილად, სეპარატისტთა „წაყრუების“ ობიექტს წარმოადგენდა. მართალია, აქ მუდმივად ხდებოდა ქართველთა აწიოკება, ქონების ჩამორთმევა, დაპატიმრება, ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფა. აქვე არ უნდა დავივიწყოთ 1998 წლის მოვლენებიც, მაგრამ სეპარატისტები მაინც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეს რეგიონი, რომელიც სოფლის მეურნეობის ასპექტში ოკუპირებული აფხაზეთის უმთავრესი ეკონომიკური სახსარის როლს ინარჩუნებდა. სწორედ ენგურის გავლით გალელებს შეჰქონდათ აგროპროდუქცია და სხვა ნაწარმი აფხაზეთში საქართველოს შიდა რაიონებიდან. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი 2008 წლის შემდეგაც გრძელდება (ჩიტაია მ., 15.07.2015). ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ საკუთრივ აფხაზი ეროვნების პირებიც, რომლებიც ლილოს ბაზრობაზეც კი ჩამოდიან.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტები და ოკუპანტები გრძნობენ იმ საფრთხეს, რაც გალში ქართული ეთნოსის რაოდენობის გაზრდას შეიძლება მოყვეს. ცხადია, რომ ისინი პერსპექტივაში აშკარად ხელს შეუშლიან რუსული პოლიტიკის გატარებას. ამიტომ გალელებს არ ეძლეოდათ ე.წ. „მოქალაქეობა“, რაც ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობას ზღუდავდა. მიუხედავად „მოქალაქეობის“ არქონისა, გალელ ქართველ წვევამდელებს სეპარატისტულ „შეიარაღებულ ძალებში“ მაინც იწვევდნენ (წულაძე ზ., 6.11.2013).

აღსანიშნავია, რომ გალის ქართველობა მნიშვნელოვანი და სერიოზული ძალაა, რომელსაც რეალურად შეუძლია გარკვეულ ანტისეპარატისტულ და ანტისაოკუპაციო პროცესებს დაუდოს სათავე. ბუნებრივია, ოკუპანტებისათვის ეს მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩნდა 2013 წელს, როცა ადგილობრივ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, კერძოდ კი ალექსანდრე ანქვაბს, გალის მოსახლეობის მხარდაჭერა დასჭირდა. როგორც დმიტრი სტატეინოვი წერს: „დაახლოებით 30 ათასი ადამიანიდან, რომელიც დღესდღეობით გალში ცხოვრობს, მხოლოდ 300-მდე ადამიანს აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა. დანარჩენები აქამდე ფაქტობრივად არალეგალები იყვნენ, მათ საქართველოს მოქალაქეობა აქვთ და მასზე უარის თქმას არ აპირებენ – ე.ი. მათ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება არ შეუძლიათ, რადგან ორმაგი მოქალაქეობა რესპუბლიკაში მხოლოდ რუსული პასპორტების მფლობელებისთვის არის შესაძლებელი“ (სტატეინოვი დ., 18.09.2017).

აფხაზური „პასპორტების“ აღება სავალდებულო 2008 წელს რუსეთის მიერ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდეგ გახდა. თუმცა გალის მოსახლეობა ფონს გადიოდა ე.წ. „ფორმა #9“-ს ფლობით, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ისინი გალის რაიონში ცხოვრობდნენ. ეს დოკუმენტი მათ საშუალებას აძლევდა ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ გადაკვეთისა (გოგუა ნ., 9.10.2017).

ქართველთათვის სეპარატისტული პასპორტების გაცემის ინიციატივას დაუპირისპირდა ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, სეპარატისტული აფხაზეთის უშიშრობის საბჭოს მდივანი (2005-2009, 2011-2013წწ.) სტანისლავ ლაკობა. ის გალელებისათვის აფხაზეთის „მოქალაქეობის“ მინიჭებაში, „ქართველიზაციის“ პრობლემას

ხედავდა: „შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა პირდაპირი, ქართველიზაცია, მეგრელიზაცია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში... გალი არის სასაზღვრო რაიონი, იქ კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები, მათი პასპორტიზაციის შემდეგ, მომავალში იქ აუცილებლად დაისმება ადამიანის უფლებების, სინდისის თავისუფლების საკითხები, ვის აწყობს ეს?! ეს მიგვიყვანს ომის შედეგების გადახედვამდე. ეს მიგვიყვანს არა გალის რაიონის ინტეგრაციამდე, არამედ მცოცავ ინტეგრაციამდე საქართველოს შემადგენლობაში“ (წულაძე ზ., 6.11.2013).

პასპორტების გაცემის პროცესი დროებით შეჩერდა. პრობლემის გადაჭრის გზად „ბინადრობის უფლება“ იქნა მიჩნეული 2016 წლის დეკემბრის მიწურულს აფხაზეთის „პარლამენტის“ გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისი ცვლილებები შევიდა „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ („ოკუპირებულ აფხაზეთში...“, დეკემბ., 2016). როგორც წესი, საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე, ასეთ უფლებას უცხოეთი მოქალაქეებს აძლევენ ხოლმე. აღნიშნული დოკუმენტის მფლობელს აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების უფლებას აძლევს; მას, ასევე, არ ეკრძალება აფხაზეთიდან გასვლა თუ იქ დაბრუნება. მიუხედავად ამისა, „ბინადრობის მფლობელს“ ეკრძალება უძრავი ქონების შეძენა თუ გაყიდვა და არჩევნებში მონაწილეობა (სტატეინოვი დ., 18.09.2017).

მიუხედავად ამ აშკარა ანტიქართული და დისკრიმინაციული უფლებებისა, აღნიშნული საბუთის მიღებაც გართულებულია. გალელებს ადგილობრივი მილიციის განყოფილებებში შეურაცხყოფას აყენებენ, საბუთის გაცემისათვის ოფიციალური გადასახადის (1500 რუბლი) გარდა, უწევთ ქრთამის მიცემაც 2000 რუბლის ოდენობით (გოგუა ნ., 9.10.2017).

ამდენად, იქმნება ხელოვნური ბარიერები გალის ქართული მოსახლეობისა და მათი ჩართულობისათვის სეპარატისტული აფხაზეთის შიდა პოლიტიკურ აქტიურობაში.

სეპარატისტები, რომლებიც ვერ ახერხებენ, თუნდაც ამ აპარტეიდული პოლიტიკით გალის რაიონის ქართველთა მოდრეკას, სხვა გეგმებსაც ახორციელებენ. ესაა: ქართული ენის სწავლების საათების შემცირება და ქართულად სწავლების აკრძალვა საშუალო სკოლაში; „ისტორიულ აფხაზურ ფესვებთან“ დაბრუნება.

როგორც ჟურნალისტი ვახტანგ შამუგია შენიშნავს, „აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის სექტემბერში, გალის რაიონი ზედა და ქვედა ზონებად დაყვეს. ზედა ზონის ყველა - ცხრავე სკოლა, რუსულ ენაზე გადავიდა. ქართული ენა და ლიტერატურა არასავალდებულო, რიგითი საგნის სტატუსით დარჩა, რომელსაც კვირაში მხოლოდ 1 საათი ეთმობა. იგივე მოხდა ქალაქ გალის აქამდე არსებულ ქართულ სკოლებშიც“ (შამუგია ვ. 24.08.2015). სეპარატისტული ხელისუფლება ამცირებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საათებს საშუალო სკოლებში და ის უცხო ენის სტატუსში გადაჰყავთ („გალში ქართული ენა...“ 2.09.2015). პირიქით, გალის რაიონის რესურს-ცენტრის უფროსის, ქალბატონ ნონა შონიას მიერ მოწოდებული ცნობის თანახმად, „სკოლებში მშობლიური ენის სტატუსი აქვს **რუსულ ენას** და ეს ენა ეწერება გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლების ყველა კურსდამთავრებულს აფხაზურ ატესტატში“.

აქვე საინტერესოა ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს სეპარატისტების მიერ გალის მუნიციპალიტეტში ქართული სკოლების დახურვისა და ქართულენოვანი სწავლების აკრძალვას:

1990 წელს გალის რაიონში ფუნქციონირებდა 58 სკოლა (52 ქართული, 2 რუსული, 3 ქართულ-რუსული, 1 ქართულ-აფხაზური); 1994 წელს, აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ, სასწავლო პროცესი აღდგა 31 სკოლაში (27 ქართული, 2 რუსული, 1 ქართულ-რუსული, 1 ქართულ აფხაზური); 2004-2005 წლებში დასრულდა „ზედა ზონის“ 20

სკოლაში სწავლების რუსულ ენაზე გადასვლა; 2015 წელს „ქვედა ზონაში“ დარჩენილ 11 ქართულ სკოლაში სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე; 2017 წელს დაიხურა თაგილონში არსებული სკოლა („ოკუპირებულ აფხაზეთში ბავშვთა უფლებების...“ 31.10.2018).

სეპარატისტები ცდილობენ რა ამოძირკვონ ქართული ენა სწავლების პროცესიდან, სისტემატურ და მოულოდნელ შემოწმებებს ახორციელებენ ადგილობრივ სკოლებში („ქართულად სწავლების...“ 20.11.2018). ქართველ მასწავლებლებს უტარებენ ტესტებს რუსული ენის ცოდნაში. საინტერესოა, რომ საგამოცდო მასალას ადგენენ არა საკუთრივ აფხაზეთში, არამედ – რუსეთში („ქართულად სწავლების...“ 20.11.2018).

2013 წელს საგანგებოდ შეიქმნა მეგრული „დედაენა“, რომლის ავტორია ვინმე ნარგიზა ბასარია. იყო მცდელობა ამ „სახელმძღვანელოს“ სკოლებში შეტანისა, თუმცა, ნ. შონიას ცნობით, ამ გეგმის რეალიზაცია არ მომხდარა („ქართული ენის დევნა...“ 16.04.2016).

აფხაზეთში ომის დასრულების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, ე.წ. საზეიმო ღონისძებები გალის სკოლებშიც გაიმართა, სადაც სპეციალურ ფლეშმობში მონაწილეობდნენ ქართველი ეროვნების ბავშვები, რომლებიც აფხაზ მეომრებს ასახიერებდნენ. „ბავშვები აუცილებლად სამხედრო ფორმებში უნდა იყვნენ, აფხაზეთის ჰიმნი, ომის კადრები, სადაც ქართველებისგან მტრის ხატია შექმნილი, აფხაზურ-რუსულად დაწერილი ტექსტები… და ამ ყველაფერს ჩემ შვილებს აიძულებენ, დიახ, აიძულებენ, რადგან ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს“, – განუცხადა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა “Democracy & Freedom Watch”-ს („ოკუპირებულ აფხაზეთში ბავშვთა უფლებების...“ 31.10.2018).

საინტერესოა, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავის აღნიშვნა განსაკუთრებით აქტიურად სწორედ გალში გაიმართა, სადაც მოსახლეობა აიძულეს სპეციალურ მიტინგებსა და ღონისძიებებში მიეღოთ მონაწილეობა და საჯარო განცხადებებით დაეგმოთ საქართველო. სამწუხაროდ, ზოგიერთი რენეგეტის მოძიება სეპარატისტებს არ გასჭირვებიათ („08.08.08. - 10 лет спустя...“). ასეთი იყო 1967 წელს დაბადებული, სოფ. ზემო ბარღების მკვიდრი და ამჟამად გალის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის უფროსი ბეჟან უბირია, რომელიც 1990-1994 წლებში თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო, 2007-2012წწ. ის აფხაზეთის პარლამენტის „ერთადერთი ქართველი დეპუტატი“ (Вартанян О. 25.08.2011) იყო, ხოლო 2013 წელს დაინიშნა კანონმდებლობასთან შესაბამისადა გალისა და ტყვარჩელის რაიონებში მცხოვრებთათვის პასპორტების გაცემის შემმოწმებელი სახელმწიფო კომიტეტის წევრად.

საინტერესოა, რომ თუკი სეპარატისტები ცდილობენ, გალის ქართულ მოსახლეობას ე.წ. „მეგრული“ თვითშეგნება ჩაუნერგონ და ამით ერთიანი ქართული ეთნოსის გახლეჩა მოახდინონ, რუსი ოკუპანტები ამ ასპექტში მათი პროტეჟეების მოსაზრებას აშკარად არ იზიარებენ. მოსკოვს რომ „დამოუკიდებელი აფხაზეთი“ მხოლოდ საქართველოს პროდასავლური ინტერესების გამო დასასჯელად სჭირდება, ეს ცხადია. ბუნებრივია, ამიტომ საკუთრივ კრემლისათვის აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ ფიქციაა და, შესაბამისად, ის თავად არის დაინტერესებული იმაში, რომ არ მოხდეს ეთნიკური აფხაზების გამრავლება და გაძლიერება. ამიტომაც, ბუნებრივია, ოკუპანტები ცდილობენ რა გალის ქართული მოსახლეობა ჩამოაშორონ საერთოქართული სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეს, ისინი ამასთანავე ცდილობენ მათ გარუსებას. გარუსებული გალის ქართული მოსახლეობა, ბუნებრივია, წინააღმდეგი იქნება როგორც ქართული სახელმწიფოსი, ასევე – აფხაზებისა. ამდენად, ასეთი კონფრონტაცია კი კიდევ უფრო განამტკიცებს ოფიციალური მოსკოვის პოზიციებს ოკუპირებულ ქართულ მიწაზე.

სწორედ ამ მიზნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აფხაზურ-რუსულ-

მეგრულენოვანი გაზეთი „გალ“, რომელიც 1993 წლიდან გალში ვრცელდება. მიზანი ამ გამოცემისა არის გალელებში, რომელთა დიდი ნაწილი მეგრელებს მიეკუთვნება, გააღვივონ ე.წ. „მეგრული სეპარატიზმი“, რომელიც, შემდგომ სამეგრელოში უნდა გავრცელდეს. ამასვე ემსახურება ადგილობრივი ტელევიზია „Гал ТВ“, რომელიც, ასევე, სამ ენაზე მაუწყებლობს. ტელევიზიამ მაუწყებლობა 2017 წლის 14 მაისს დაიწყო და დირექტორად ვინმე თემირ ყურბანოვი დაუნიშნეს, რომლის ფეისბუკ-პროფილიდან ირკვევა, რომ ის წარმოშობით ტყვარჩელიდანაა და, შესაბამისად, მას არაფერი აკავშირებს გალთან.

თუმცა, ორივე შემთხვევაში (გაზეთი და ტელევიზია), რუსული ენის ხვედრითი წილი გაცილებით მეტია და დაახლოებით საგაზეთო მასალის 80 და საეთერო დროის 95 პროცენტს მოიცავს. აქედან გამომდინარე, ნათელია რუსი ოკუპანტების ის ამოცანა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ: ისინი ქართველების გააფხაზებას კი არა, გარუსებას ცდილობენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეპარატისტული რეჟიმი ცდილობს სამურზაყანოელები აფხაზობას „დაუბრუნოს“. ცნობილია, რომ საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციის ფორმირება გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIIIსს. მიჯნა) ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში სწორედ აფხაზთა მოწოლის შემდეგ ხდება (კვაშილავა, 2011ა). თუმცა, დამხვდურმა ეთნიკურმა ჯგუფმა (მეგრელები/ქართველები) იმძლავრა და მათი ნაწილის გაქართველება მოახერხა. საკუთრივ აფხაზური დასახლებები იქ მაინც არსებობდა.

სამურზაყანოელთა „ეთნიკური ვინაობის“ გარკვევას ჯერ ცარიზმი შეეცადა და ადგილობრივი მოსახლეობა აფხაზური წარმოშობისად გამოაცხადა (კვაშილავა, 2011ბ). საბჭოურ პერიოდშიც აფხაზი მეცნიერები (ს. ბასარია, ხ. ბღაჟბა, შ. ინალ-იფა) გალის რაიონის ავტოქთონ მოსახლეობად აფხაზებს, ხოლო ადგილობრივ ტოპონიმიას აფხაზურად აცხადებენ (კვაშილავა, 2011ა). ამ ბოლო ხანებში აღნიშნული მიმართულებით აქტიურობს ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი თეიმურაზ აჩუგბა, რომელიც წარმოშობით ბათუმელია. ის არის ავტორი ნაშრომისა „О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии“, სადაც ის სამურზაყანოელებს აფხაზებად მიიჩნევს, თუმცა ყველაზე ძველი საბუთი, რომელიც მას არგუმენტად მოაქვს 1788 წლით თარიღდება და არც ინტერესდება, თუ რა ხდებოდა ამ მხარეში XVIII საუკუნის მიწურულამდე (კვაშილავა, 2011ა). რა თქმა უნდა, ჩვენმა კოლეგამ კარგად იცის, რა ხდებოდა აღნიშნულ პერიოდამდე, მაგრამ მისი მიზანი ქართველთა და აფხაზთა საერთო ისტორიული წარსულის გაყალბებაა.

სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 2014 წელს „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“ („Совет мырзаканских абхазов“) შექმნა, რომლის მიზანია სამურზაყანოელ აფხაზთა მემკვიდრეების ინტერესების დაცვა, მათი ენობრივი, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაცია „საერთოაფხაზურ“ საზოგადოებაში (Заводская Е. 19.07.2018). როგორც ამ საზოგადოების მეორე ყრილობაზე თავმჯდომარემ თენგიზ ინალ-იფამ აღნიშნა, 2014-2018 წლებში 500-მა ადამიანმა დაიბრუნა „ჭეშმარიტად აფხაზური გვარები და ეროვნება“. თუმცა მისივე ინფორმაციით, გალის რაიონის ძველ საზღვრებში 5000 ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც აფხაზურ გვარებს ატარებენ (Заводская Е. 19.07.2018). როგორც ვხედავთ, საზოგადოების „პროგრესი“ ამ მიმართულებით გასული 4 წლის მანძილზე სამიზნე ჯგუფის მხოლოდ 10%-ია. ჩანს, რომ „აფხაზური“ წარმოშობის მოსახლეობას მაინცდამაინც დიდი სურვილი არ გააჩნია „ჭეშმარიტად აფხაზური ეროვნების“ დასაბრუნებლად.

როგორც ვხედავთ, სეპარატისტები დღეს ცდილობენ, მათ, რომელნიც საკუთარ თავს ქართულ ეთნოსთან აიგივებენ, „ხელი შეუწყონ“ „ნამდვილი“ ეროვნების დაბრუნებაში. ესეც ერთ-ერთი გზაა გალის რაიონში ქართული მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურად შესამცირებლად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

კვაშილავა კ. (2011*ა). ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი.* თბილისი.

კვაშილავა კ. (2011ბ). სამურზაყანოელთა „ეთნიკური ვინაობის“ პრობლემა რუსულ ისტორიოგრაფიაში და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები, – *ჟურნ. „განათლება“.* №3, თბილისი.

გოგუა ნ. (9.10.2017*). ქართველები გალში – უცხოელები საკუთარ მიწაზე,* – http://oc-media.org/kartvelebi-galshi-utskhoe/.

სტატეინოვი დ. (18.09.2017). *„ბინადრობის უფლება“ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისათვის – პრობლემის გადაწყვეტა თუ ახალი თავსატეხი,* – https://jam-news.net/ბინადრობის-უფლება-აფხა/?lang=ka.

შამუგია ვ. (24.08.2015). *გალში ქართულ სახელმძღვანელოებს ანადგურებენ, სწავლება მხოლოდ რუსულად იქნება,* – http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=26030.

ჩიტაია მ. (15.07.2015). *სოხუმში ქართული პროდუქცია 300%-ით ძვირად იყიდება,* – https://bpn.ge/finansebi/13587-sokhumshi-qarthuli-produqti-300-ith-dzvirad-iyideba.html?device=xhtml&lang=ka-GE.

წულაძე ზ. (6.11.2013). *ანქვაბი ქართველი „ამომრჩევლისთვის“ ბრძოლას განაგრძობს,* – https://www.amerikiskhma.com/a/georgia-right-georgians-in-occupied-abkhazia/1784528.html.

„გალში, ქართული ენა და ლიტერატურა იქნება როგორც უცხო ენა მე-3 კლასიდან, კვირაში 3 საათი, ნაცვლად აქამდე არსებული 10 საათისა“ (2.09.2015) – https://edu.aris.ge/news/galshi-qartuli-ena-da-literatura-iqneba-rogorc-ucxo-ena-me-3-klasidan-kvirashi-3-saati-nacvlad-aqamde-arsebuli-10-saatisa.html).

„ოკუპირებულ აფხაზეთში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები – „ეთნიკური დისკრიმინაცია და ქართული იდენტობის დათრგუნვა“ (31.10.2018), – http://www.accentnews.ge/ge/news/details/61899-ოკუპირებულ-აფხაზეთში-ბავშვთა-უფლებების-დაცვის-მიმართულებით-არსებული-გამოწვევები-—-ეთნიკური-დისკრიმინაცია-და-ქართული-იდენტობის-დათრგუნვა“.

„ოკუპირებულ აფხაზეთში გალის ქართული მოსახლეობისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ“ (დეკემბ., 2016), – http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2016/12/ბინადრობის-ნებართვა-გალ-ინფო.pdf.

„ქართული ენის დევნა გალის სკოლებში“ (16.04.2016), – https://dfwatch.net/ქართული-ენის-დევნა-გალის-41820.

„ქართულად სწავლების სრულად ამოსაძირკვად გალის სკოლებზე წნეხი ძლიერდება“ (20.11.2018), – https://dfwatch.net/ქართულად-სწავლების-სრულა-52580.

Вартанян О. (25.08.2011). *Гальский район готовится к голосованию,* –

https://www.ekhokavkaza.com/a/24308274.html.

Заводская Е. (19.07.2018). «*Совет мырзаканских абхазов» собрался на второй съезд,* – https://www.ekhokavkaza.com/a/29376814.html.

„08.08.08. - 10 лет спустя..“ – „08.08.08. - 10 лет спустя: памятные мероприятия в городе Гал“, – https://www.facebook.com/GalTv.rgt/videos/398071284052140/.

REFERENCES

kvashilava k. (2011a). *istoriuli samurzakanos tsarsulidan. [From the past of the historical Samurzakhano. XVII-XVIII centuries – 1840].* Tbilisi.

kvashilava k. (2011a). amurzakanoelta “etnikuri vinaobis” problema rusul istoriografiashi da da iakob gogebashvilis shekhedulebebi, *jurn.: “ganatleba”.* [The Problem of the "Ethnic Identity" of the Samurzakhans in Russian Historiography and the Views of Iakob Gogebashvili]. *Journal "Education".* №3, Tbilisi.

gogua n. (9.10.2017). *qartvelebi galshi – ucxoelebi sakutar mitsaze, [Georgians in Gali - foreigners on their own land*]– http://oc-media.org/kartvelebi-galshi-utskhoe/

stateinovi d. (18.09.2017). *“binadrobis ufleba” afxazetshi mtskhovrebi qartvelebisatvis – problemis gadatskveta tu axali tavsatekhi, ["Right to Residence" for Georgians living in Abkhazia - problem solving or a new puzzle]* – https://jam-news.net/binadrobis-ufleba-afxa/?lang=ka

shamugia v. (24.08.2015). *galshi qartul sakhelmzghvaneloebs anadgureben, stsavleba mkholod rusulad iqneba, [Georgian textbooks are being destroyed in Gali, the teaching will be only in Russian*] – http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=26030

chitaia m. (15.07.2015). *sokhumshi qartuli produqtsia 300%-it dzvirad ikideba, [Georgian products are 300% more expensive in Sokhumi]* – https://bpn.ge/finansebi/13587-sokhumshi-qarthuli-produqti-300-ith-dzvirad-iyideba.html?device=xhtml&lang=ka-GE (ჩიტაია მ. (15.07.2015).

tsuladze z. (6.11.2013). *anqvabi qartveli “amomrchevlistvis” brdzolas ganagrdzobs, [Ankvab continues to fight for Georgian "voters"]* – https://www.amerikiskhma.com/a/georgia-right-georgians-in-occupied-abkhazia/1784528.html (წულაძე ზ. (6.11.2013).

“galshi, qartuli ena da literatura iqneba rogorc utskho ena me-3 klasidan, kvirashi 3 saati, natsvlad aqamde arsebuli 10 saatisa” (2.09.2015), – https://edu.aris.ge/news/galshi-qartuli-ena-da-literatura-iqneba-rogorc-ucxo-ena-me-3-klasidan-kvirashi-3-saati-nacvlad-aqamde-arsebuli-10-saatisa.html

okupirebul afxazetshi bavshvta uflebebis dacvis mimartulebit arsebuli gamotsvevebi – "etnikuri diskriminatsia da qartuli identobis datrgunva" (31.10.2018), – http://www.accentnews.ge/ge/news/details/61899-okupirebul-afxazeTSi-bavSvTa-uflebebis-dacvis mimarTulebiT-arsebuli-gamowvevebi-—-eTnikuri-diskriminacia-da-qarTuli-identobis-daTrgunva~

"okupirebul afxazetshi galis qartuli mosaxleobisatvis binadrobis nebartvis gacemis shesakheb" (dekemb., 2016), – http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2016/12/binadrobis-nebarTva-gal-info. pdf .

"qartuli enis devna galis skolebshi" (16.04.2016), – https://dfwatch.net/qarTuli-enis-devna-galis-41820

"qartulad swavlebis srulad amosadzirkvad galis skolebze tsnekhi dzlierdeba" (20.11.2018), – https://dfwatch.net/qarTulad-swavlebis-srula-52580

Вартанян О. (25.08.2011). Гальский район готовится к голосованию, – https://www.ekhokavkaza.com/a/24308274.html.

Заводская Е. (19.07.2018). «Совет мырзаканских абхазов» собрался на второй съезд, – https://www.ekhokavkaza.com/a/29376814.html.

„08.08.08. - 10 лет спустя.." – „08.08.08. - 10 лет спустя: памятные мероприятия в городе Гал", – https://www.facebook.com/GalTv.rgt/videos/398071284052140/.